




„ხათაბალა“ გამოვა დრო-გამოშვებით და დაიბეჭდება ისეთ ქალღმერთზე, რა ქალღმერთსაც ვიზოვით. რედაქციის მისამართი: თბილისი, სტამბა „სორაპანი“, თვითილე ბოლქვაძეს. გამყიდველებმა და აგენტებმა უნდა მიმართონ თფილისში კანტორა „განათლებას“.



სიძვირემ უფრო იმატა,
სურსათი გამოიღია
და ამ შემთხვევით თათრები
ვერ დარჩნენ კმაყოფილია.
სთქვებს: — „ეს რა ხათა გვეწვია,
ვიყავით გამაძღარიო,
რალა ეშმაკათ გვინდოდა
ბალშევიკების ჯარიო!!
ვითომ და სიკეთე სურდათ
და გვპირდებოდნენ შველასო,
საქართველოს და სოხხეთსა
დაგიმორჩილებთ ყველასო.
ჩვენ კი ბრძოლაში შეგვაბეს,
სახრავი თითონ სკამესო!
მოგსტყუვდით, არ მოველოდით
იმათგან ასეთ რამესო!“.

ჭახრაკი მოუჭირეს.

ადერბეიჯანში.

რუსეთის კომუნისტები
დაეპატრონენ ბაქოსა,
(ძალა და ღონე ლენინის
კაცმა ვით არ შეაქოსა!)

ადერბეიჯან — თათრებსა
ჭახრაკი შემოუჭირა
და შეგება-ლხენის სანაცვლოთ
მოსწურა, ყოფა უტირა.

რაც დღე დადგათ საწყლებსა
ვინ მოსთვლის ყველა სიავეს,
მთელი ქონება იმათი
გაზიდეს, გაანიავეს.

ვაჭრებს ბეგარა დაადევს,
ბურჯუაზია დახარკეს,
მაგრამ მშრომელი ხალხი
მგონი სულ დააგლახაკეს.

აუყაყანდა ლენინსა
ახალი ქვეშევრდომია
და როგორც ვიცით, განჯამ
სამოქალაქო ომია!

კომუნისტების ლაშქარი,
კვლავ დაერია თათრებსა,
(ჩაკი საკბილო იზოვეს
მასპინძელს რას უხათრებსა!!)

რომ ჰკითხო, ემტერებიან
მხოლოთ ბეგებს და ფაშებსა,
ნამდვილიათ — მუსრი გაავლეს
საწყალ ქალებს და ბავშვებსა!..



ეროვნული
რედაქცია

უმანკობის სისხლითა
მორწყეს ქალაქი, სოფლები,
გააპარტახეს ყოველი,
არც თუ დაინდეს ობლები.

სოციალიზმის სახელით
სწადიან მცხტურ საქმესა
და იმას არა კმარობენ
რაც დღეღე მოისაქმესა.

ხათაბალელი.

სცენა საპატიმროში.

მომქმედნი:

საპატიმროს ზედამხედველი.
სამხედრო სასამართლოს პროკუ-
რორი.
პატიმრები.

ზედამხედველი. მე მოგიწვიეთ იმიტომ, რომ ეხლავე მობრძანდება აქ სამხედრო სასამართლოს პროკურორი. უქვევლია, გამოგკითხავთ თითოეულ თქვენს ვინაობას, რისთვისა ხართ დაჭერილნი და სხვა. გარდა ამისა შეიძლება გკითხოსთ: კმაყოფილნი ხართ თუ არა საპატიმროს საქმელ-სასამელითა, აქაური წესებითა და სხვა. მე ხომ არა გჩაგრავთ და იმედი მაქვს არაფერს მიჩივლებთ პროკურორთან.

პატიმრები. ჩვენ ყველაფრით კმაყოფილნი ვართ. არაფერს გიჩივლებთ. სწორეთ მამა ხართ ჩვენი. (შემოდის პროკურორი).

ზედამხედველი. მოგახსენებთ, რომ ჩემდა რწმუნებულ სამხედრო საპატიმროში ამ ჟამად 729 პატიმარია.

პროკურორი. (პირველ პატიმარს) შენ ვინა ხარ?

პირ. პატიმ. კაპიტანი.

პროკურო. რისთვისა ხარ დაჭერილი?

პირ. პატიმ. რისთვის და მშვიოდა პური მოვიპარე.

პროკურო. რამდენი გირვანქა?

პირ. პატიმ. ორი ვაგონი.

პროკურო. ორი ვაგონი პური?

პირ. პატ. ღიახ, ორი ვაგონი კანადის ფქვილი, ძლიერა მშვიოდა, ძლიერ. ძალიან დიდი მადა მაქვს. მიყვარს სმა-ჭამა დიდათ შესარგი, ქეიფი, ავტომობილით სიარული, კლუბი, ბაქარა, ქალები, ჩაცმ-დახურვა. მაშ რა უნდა შექნა ამ სიძვირეში? დღეში ათასი თუმანი არა მყოფნის.

პროკურო. ახია შენზე. იყავნ ციხეში.

პირ. პატიმ. გმადლობთ. აქაც არა მიჭირს რა. სმა კარგი მაქვს და ჭამა. ბინაც მშვენიერია. თითქოს კარგ სასტუმროში ვყოფილვარ. ფული ბლომათ მაქვს. ბაქარას თამაშობა აქაც შეიძლება.

პროკურო. აქედან კატორგაში გიკრავენ თავს.

პირ. პატიმ. ვერა ამხანაგო პროკურორო. მე ისე მაქვს მოწყობილი საქმე, ისეთ საბუთებს წარუდგენ სასამართლოს, მოწმები ისეთ ჩვენებას მისცემენ, რომ სასამართლო უექვევლათ გამამართლებს.

პროკურო. (მეორე პატიმარს) შენ ვილა ხარ?

მეორე პატ. პორუჩიკი იოსავა.

პროკურო, რისთვისა ხარ დაჭერილი?

მეორე პატ. აფიცრთა საზოგადოება გაეაკორტე.

პროკურო. შენ თითონ გამდიდრდი?

მეორე პატ. განა ეხლა გამდიდრება შეიძლება? სულ ორი მილიონი ზარალი მივაყენე საზოგადოებას. მერე რა არის ორი მილიონი? ორ თვეს არ მეყო. მეც მიყვარს კარგი სმა-ჭამა, კლუბი, ბაქარა, ქალები.

პროკურო. მერე როგორ მოახერხე ორი მილიონის წაღება. შენც კანადის ფქვილი მოიპარე?

მეორე პატიმ. ფქვილი, ქალაღი, საპონი, ტყავი, ფართალი, ნაღდი ფული.

პროკურო. დიდხანს იჯდები აქა. (მესამე პატიმარს) შენ რისთვის ხარ დაჭერილი?

მესამე პატ. კა-კუ-ნა-და-კუ-ნა...

პირ. პატიმ. (პროკურორს) ეგ ამხანაგი პატიმარი მუნჯი გახლავთ, მაგრამ დიდი ნიჭიერი და მოხერხებული სპეკულიანტია. ათი ვაგონი კანადის ფქვილი აწაპნა. ტყუილათ ზის აქა. თქვენ კი არა, ათი თქვენისთანა პროკურორი ვერ დაუმტკიცებს დანაშაულს. სჯობს ეხლავე გაანთავისუფლოთ.

პროკურო. (მეოთხე პატიმარს) შენ ვინა ხარ?

პირ. პატ. ეგეც მუნჯია. აქაური პატიმარი სპეკულიანტები ყველანი უეცრივ დამუნჯდენ. ისე ეწყინათ დაპატიმრება. ყველას ვინაობას მე მოგახსენებთ: ეს პატიმარი საუცხო-

ვო სპეკულიანტია. ათი ვაგონი კანადის ფქვილი მოიპარა, ორი ვაგონი მისცა, ვისაც ჯერ იყო, რვა ვაგონის ფული ჩაჯიბა და მუნჯი გახდა. ეს პატიმარიც მუნჯია. ამანაც კანადის ფქვილი მოიპარა, ოცი ვაგონი და კიდევ კახეთის ფქვილი ორი ვაგონი და აბაშის სიმინდი ორი ვაგონი.

პროკურო. (ზედამხედველს) მე როგორც ვხედავ, აქ სულ სპეკულიანტები ყოფილან. თქვენც არ გასპეკულიანტდეთ.

ზედამხედ მე ვინ მალირსებს მაგ ბედნიერებას.

პირ. პატიმ. თუ ვნებავთ, ამხანაგო პროკურორო, თქვენ გასწავლით სპეკულიანტობას. აქ ყველანი დახელოვნებული ვართ კანადის ფქვილის მოპარვაში. არც თუ დიდი ცოდვაა, ამხანაგო. კანადიდან დიდძალი ფქვილი მოდის. რა უშავს, რომ ერთი ასი-ორასი ვაგონი ავწაპნოთ. ფქვილი ხომ არ იკარგება. ვყიდით. მყიდველიც გაყიდის. მყიდველი იყიდის. სხვაგან არსად წავა.

პროკურო. კი... მაგრამ ამგვართ პური ხომ ძვირდება?

პირ. პატ. რა უშავს? სპეკულიანტებს ხომ ფული ბევრი აქვთ და ბევრნიც არიან. ლამის ყველანი სპეკულიანტებათ გადვიქცეთ. დარჩება ერთი ორი ღარიბი კაცი. რა უშავს ცოტა ძვირათ იყიდონ. მერე ღარიბ კაცს ფული რათ უნდა? ხომ მოგეხსენებათ:

ღარიბსა კაცსა ვინ მისცემს აღების ღამეს ღვინოსა?

მჭადი სჭამოს და წყალი სვას დაწვეს და დაიძინოსა.

ღარიბებს სძინავთ და მდიდრები მდიდრდებიან. ფული არ აძინებთ ღამე და იმიტომ უნდათ ქეიფი და ღროს გატარება ასე ყოფილა, ამხანაგო, ასე არის და ასე იქნება.

სუშარა.

რა ვნახე?!

(რკინის გზის საავადმყოფოში).

ბალნიცა ესე რკინის გზის, ხელ მოკლე მუშათ მცველია; ვისაც არ ყოფნის თვის შრომით ნაშოვნი მჭადი ცხელია (იგი ხომ „ბურჯუაძეა“ თუ კი აქვს მჭადზე ყველია)..

ვინაც ცხოვრების ქურაში
იხრაკვის, ტანშიშველია,
და ვინც სამშობლოს, ერთგულათ
შრომით და თოფით მცველია
(ვინცა ლალატობს ამ გმირებს
ბილწი და საძაგელია).

ვინც მტრებთან მედგარ ბრძოლაში
აკაბებში ზის, სველია...
მათი გმირობის ჭირიმე,
ეს არის ჩვენი მხსნელია...
(ვინც მათთან გულით არ არის
გაიძვერაა — მელია)...

მკითხავთ რა ვნახე?! უნდომნი
სიცოცხლე განამწარები,
ლოგინზე გაშეშებულნი,
ვით უქი თოხის-ტარები.

არც ფერწლები სჩანს, არც ღები,
ამათი მისახმარები,
ნეტა მაგათაც გაუჩთვის
უნდომთა მსგავსი ქარები...
(მაშინ მიხვთება: გახთება
თუ არა შესაბრალები...)

აქ მსახურებენ „რაცალა“
თითო ოროლა კაცები...
თავ-აღერილი დადიან
ვით უპატრონო ვაცები
(მათი შემყურე უნდომთა
ივსება თმენის თასები...)

მეტ წილად ქალნი მსახურობს
მათ როგორ მიეკარები?!
თუ მიეფერე, ქე შიშობ,
თუ ყავს მიჯნური „ქმარები“
უნდომი არა ჯანმრთელიც
ველარსად გაიპარები.
(მოგთელვენ ისე მგონი რომ
შეიქნე საზიარები!).

თუ გაუჯავრდით ვარესი,
გახთებით განამწარები,
თუ ვინმეს რაზე შენიშნე
გადაბმული აქვთ მხარები
მოხერხებულათ გაგტანჯვენ
ველარ გიშველის ზარები
რამდენიც რეკო ვერ განახვენ
თუ ფეხზე არ იარები...

ჰიგიენა „დაცულია“
იმ საბნებით დაგხურავენ,
რომლებითაც თქვენ თვალის წინ
სენიანებს დაბურავენ.

ბატინკები და ბლუზები
აქ მალ-მალე იკარგება,
ავათ მყოფი მაშინ იგებს
როს აქიდან იბარგება.
(აღბათ ვინცხა „იმასშობა
თუ ეს სიტყვა იკადრება)

კანტროლი და მეთვალყურე
უკეთესი მე არ ვიცი
შემიძლია ამ საგანზე,
რომ მივიღო ღვდებით ფიცი
(ცენტრილურ კომიტეტს ჰკითხეთ
სხვისი რაღათ გინდათ მტკიცე?)

ავათმყოფებს არ შეკითხოთ
მით უმეტეს სიცხიანებს,
თორემ ისეთ ამბებს გეტყვის
ყველას დაგაფეთიანებს.
(შექანჯალეზულზე უფრო
შეგპრეკავენ — ჰკუიანებს...)

კამიტეტშიც გაჩვენებენ
ეშმაკივით რქა-რჯლიანებს
და ვერაფერს გამოიკვლევეთ
„სლედსტვია“ დაიგვიანებს.

აი, რა ვნახე... იცოდეთ
არ მიყვარს ვრცელება ექვის
თავის თავზე არ მიიღოს
პირი მწარით ვის არ ეწვის
(თორემ იმათ ვინაობას
„ხათაბალა“ ყველას ეტყვის.

ხათაბალა

ანდერძი.

(იმერული სცენა)

იმერელი გლეხი, სარიდანი, ავად
გახდა და, როგორც ყველა იმერ-
ლები, შეშინებული იმისი, რომ
მალე არ ამომადროს სული მიქელ-
გაბრიელმაო, დაუძახა თავის ერთათ
ერთ ვაჟს.

— შვილო, ელეფთერო, აქ მო-
დი ახლოს, ლოგინთან...

— რა იყო, მამა ჩემო?

— შვილო... ჩემი სიცოცხლის
წამები დათვლილია... ნიმუტ ნიმუტ
მეველი როის ამამძვრება სული...

— კაი ახლა, მამა ჩემო!.. რა
დროის შენი სიკვდილია? ლობიომ
თუ გაწყინა და მიტომ გახდი ავაო.
ძალიან ძველი ლობიო იყო.

— არა, შვილო, ჩემი თავის ამ-
ბავი მე ვიცი კარგათ... ხო და...
გამიგონე რაც დაგიბარო... ჯერ,
ჩემო შვილო, დაგიბარე იმას, რომ
ნუ მოშლი ჩემს ხელობას... იარე
ქალაქში ხორაგეულობის გასაყიდათ.

— მარცხვენ, მამაჩემო! აპა სხვა
რაღა გავაკეთო... მაგია ჩვენი ხე-
ლობა.

— ჰო, შვილო, კკუით იყავი...
სოფელში გეიჩინე მეგობარი ქალები.
ჭირით რო მოუკვდებათ ქათმები

იყიდე იეფათ, მოსჭერი თაფი...
ტყვენი და წვილე ქალაქში...
ფასში გაყიდი... კვერცხები აგროვე
შვილო, კვერცხები... მათშია მო-
გება... ჰკლინტი ყველი რო წვილო-
ქალაქში გასაყიდათ მიდი ხოლმე
ღებერტირსკი ბაზარზე ჩვენი სოლო-
ნის „სტალავოში“ და იქ ასხი
წყალი ყველს... წონაში უფრო
ბევრი მოვა და ბევრ ფულს მიეგეფ.
ქფილი, შვილო ბაგაჟში არ მიცე,
თვარა სულ თლათ დაგიცლიან ტომ-
რებს ისთევე სჯობია მიეცი კანუხ-
ტორს ცოტა ფული და ვაგონში
შეგატანიებს... ერთი ნაცნობი კო-
ნუხტორი მყავს ზაქარია კვანტალაძე
— ნათესავიც ქე ჩვენი ბაბუა ჩემის
მხრით ფოშტის პოვ ზით დადის...
თუ ნახო სადმე გამეგმცნაურე... კაი
ბიჭია, უბილეთოთ წაგიყვანს ხოლმე
ქალაქს... ნიკოლოზის ფული შეი-
ნახე, შვილო, ნიკოლოზის... ვინ
იცის რა დრო დადგება კილო... ეს
ქვეყანა ხან ასეა და ხან ისე... ის
რაღაც ეშმაკი „ტაქკიაა“ — იმისი
ნუ გეშინია: არევენ არ უყურებს
იმას... რა ფასსაც იტყვი მოგცემენ.
ბევრია, შვილო, ქალაქში ფული,
ბევრია... მარა არ გაგიწყრეს ღმერ-
თი და აღდგომის კვირეში არ წვი-
ლო არასფერი გასაყიდათ, მაშინ ქე
უყურებენ „ტაქკიას“ და თლათ
ტყვილა გაგაყიდვიებენ ხორაგეულს.
ასე შვილო... სულდებში საჩივრები
ბევრი მაქ... შენც ქე იცი რავა
უნდა მიექცე... მაგრათ იყა, შვილო
„აპელაციებში“ გადეიტანე ხოლმე
საჩივრები... იმერელი კაცი სულის
საქმეში პირველია. მამის სახელს ნუ
წახანდენ მაგ საქმეში... მიწის კუპ-
ჩები ყველა შენახული აქვს სილო-
ნიას ზანდუკში... თუ მოგცეს მთავ-
რობამ მიწა, ეილე, შვილო... თუმცა
ჯერ ჯერობით ბევრი არაფერი მო-
უციათ, არ არის საყოფი მიწაო,
მარა ამბობენ ჩვენი მთა უნდა გამო-
ჩებონ თლათ და საყანე მიწა ეგება
შენც ქე გერგოს პაწია... ასე შვი-
ლო... თუ ღმერთი გოუწყრათ და
ის „ბალშენიკები“ მევიდენ, ჰკუით
იყა შვილო, არაფერში ჩეფრიო. ვინც
გეიმარჯოს, იმის მხარეზე გადადი
ბოლოს... ასე, შვილო... ფულები
სილონიას აქვს... მოდი შვილო გა-
კოცო... შენ გენაცვალოს შენი მამა.
ერთი მყევხარ, შვილო, მარა ქვეყნის

თვალი ხარ... ნუ ტირი შვილო...
სიღონია, ქალო, ნუ ტირი შენც...
მოდი შენც გაკოცო...

როგორც მოსალოდნელი იყო,
ჩვენი სარიდანი მეორე დღეს ჩიტი-
ვით წამოხტა ლოგინიდან და იწყო
სოფელში ძუნძული გასაყიდ სანო-
ვების საშოვნელათ.

ანდერძმა ტყვილა ჩაუარა...

გზაგული.

სურათები

(ჭიათურისათვის)

ერთ-ერთ დაწესებულებების
არის იგი თაოსანი,
ფული არის მისი ღმერთი
მისი „ვეფხვის-ტყაოსანი“.

ვით ტარიელ დარეჯანის
სულიერი მოტრფილვე,
ესეც ლამის გამიგიჟდეს
სსვისი ფულის მოტრიალე!!

თქვენ იცით რომ ამ ყმაწვილსა
ოღონდ რამე შეეძინა
ანგარიშში „გამოცდილსა“
დღე და ღამე არ ეძინა!.

და რომ გამართლებულიყო
მისი გულის წადილები
„ერთი ვინმე“-ც მიიწვია
გაუმართა სადილები!.

თბილისშიაც ჩათარია
ყველი ბარე ორი წველა,
მაგრამ მინც ვერ გამდიდრდა
არ იქმნა და არ ეშველა!.

სადმე ფული გაუხსენე
აგეკვრება როგორც ტყლიპი,
საუცხოვო ვინმე არის
ეს გოგოლის მართლა ტიპი!.

რადგან ბევრი მას არ იცნობს
რომ ქვეყანა დავაჯეროთ,
გაუკეთოთ განცხადება
ზურგს მივაკრათ, მივაწეროთ:

„მე ღარიბებს პატივს არ ვცემ
მიყვარს მხოლოდ ფულიანი
ფულისათვის ცოცხალ-მკვდარი
ერთი ვინმე „ჩულისანი“.

ეს მეორე ვაებატონი
ძლიერ მალა იწვევს ცხვირსა
ნიკაპს ეხედავთ ცხვირის ნაცვლათ
ველარ ამხნევ იმის პირსა!.

შევეკითხოთ - ეგებ გვითხრას
გადაშლილი თავის ენით,
ამ ხალხიდან რათ განსხვავდა
ნუ თუ მართლა მოსდის რწმენით?

გუშინდელი ფეხ-ადგმული
ნუ თუ მართლა გახდა ბრძენი?



ნავთის დარიგება რკინის გზის სამმართველოს ეზოში.

თავის თავიც ჭიათურას
ჩააბარა როგორც ძღვენი!
გიკვირს მისი მიხვრა-მოხვრა
ეს გაპრანჭვა რისთვის სცადა,
ნუ თუ გოგრამ ვერ შეიგნო
კაცი უნდა იყო სადა!.

მაგრამ შენ მტერს! ხმას არ იღებს,
იგი თავსაც არ იწუნებს...
თქვენ გგონია წვიმა მოვა
რამდენს ცაში დაიქუხებს?!

მე მგონია ამ ყმაწვილსაც
სულ ყველანი იცნობთ ახლოს,
ის ღაჭირვით დაგემუქროს
თუ რომ ვინმე ხელი ახლოს
ასეთია მისი საქმე,
მოსახრება, გეგმა - გეზი,
ვინ არ იცით, რომ „კარგ“ მერანს
არ სჭირდება მათრას დეზი...

ჭიათურელი ეშმაკი.

რკინის გზის რამე-რუმე.

— შემუშავებულია და დღეიდან
ძალაში შედის მატარებლების გამყოლ
მოსამსახურეთათვის ნიხრი ნატანების
საზღვარზე „კონტრაბანდით“ საქონ-
ლის გატანისა. გამტანს ეძღვევა სპე-
კულიან ტებთაგან შემდგვი „პოშლი-
ნა“: ფუთ ხალიჩა-ფარდაზე 2000
მან., ბოთლ ღვინოზე 20 მან., ოყა
ყველზე 100 მან., თითო კვერცხზე
5 მან., ფუთ სიმინდზე 500 მან.
ნიხრის დაცვას თვალ ყურს ადევნე-
ბენ თბილისში, სამტრედიაში და
ნატანებში საგანგებოდ დაქირავებუ-
ლი მეთვალყურენი.

— გუშინ თბილისის სადგურის
1 კლასის ბუფეტში, მაგიდის ქვეშ

იპოვეს გულ-წასული რკინის გზის
მოხელე. მიზეზი გულის შემოყრისა
ყოფილა ის, რომ ბუფეტის მოიჯა-
რადრე ნამეტან დიდ სადილის ულუ-
ფებს აწვდის მოხელეთ იაფ ფასებში
და ამიტომ მოხელე ძალზე გამძლარა.
მილიციამ ამ შემთხვევას ყურადღება
მიაქცია და პასუხის გებაში აძლევს
მოიჯარადრე ცხომელიძეს. ცხომე-
ლიძე აცხადებს, რომ პირადათ მას
არაფერი დანაშაულობა არ მიუძღვის
და ბრალს სდებს თავის მეუღლეს.

— სამმართველოს სასურსათო
დუქნის ეზოში გაშენებულია მშვე-
ნიერი ბოსტანი, სადაც დარგულია
აუარებელი ხახვი. გამოუტყვეველ
მიზეზებით ხახვს მოსამსახურეთ არ
ურთიგებენ, მიუხედავად მათი დაჟი-
ნებითი ხეყნა-მუდარისა.

გ. ვარდენიშვილი.

გურული სცენა.

(საკუთარი ცხოვრებიდან).

ჰეი ლომავ, გელავ, იდგი ფეხი
გასწი გამომახენიე ორი კვალი მიწა.
დაღამდა დევიკარგე კაცი. სად ხარ
გასაყუყავო ბაღნებო, ჩამოხავდა
ლორები, არიქა წარღია, ყელისავ,
ეცი დეიქირე მაშკაი, დაძიძენე
ფერდელია. აი შენს პატრონს, მის
მკეტარს და ცოცხალს. მარიამავ გუ-
უქშიე ქათმებს აკაკლა მუმიათ ნა-
ყიდი ჩხოი. ვოი სად ხარ ერთი
წვიმა, დეიწვა ყოლიფერი. დეიწვა
ოჯახი ვინცამ ლანჩხუთელ მეცნი-
ერებს გადაღმართელ ხატზე ცხვარის
შეწირვა არ დაანება, მოკრეფილი

ფულები დააბრუნებია, ეგება ქე გიეწვიმებიენ. ჩადი გუთანო შენ სა-
ცეცხლევ მიწაში. ვდაობ, ვიბრძვი,
ვეგრიხები კავზე. დაცივა ძვალეები,
დაბჟუვდება ძარღვები, დალუსკუმ-
დება და შეგჩანჩალდები სახლში.
კისერ დაბრაწული, ფეხი დაფურეშ-
კული, დასუსტებული. აქეთ დათი-
თული თვალეებ გამოღამებული ქალი
და ბალნები, რაცხას დაფუსფუსო-
ბენ რარცა ხეფს მიდგამენ, მე ლან-
დებსავით მეჩვენება, მეყვინთება,
ლუკმა ხან პირში მიმაქ და ხან ყურ-
ში. მივეგდები ჭილობზე. ვათენდება
დაღამდება, კიდევ ასე, კიდევ ვა-
რესი, მთელი ღღეები და კვირეები
ასე მაშპება თავზე. ჩამოვრჩი ცხოვ-
რებას, რამდენი ხანია ვახეთიზა
თვალი არ ვადამიკრავს, ერთი შე-
მატყობია, რაფა მივაძამია აქარლებ-
ქობულეთლების თავზე სახარების
კითხვა. რა ღღეი დააყენეს შახსეი-
ვახსეის მუტრუკებს. რას ფიქრობს
ჩვენი თვალის სინათლე წითელი
სიძე ლენინი. ერთი მალაპარეკა
ილარიონაის ბიქთან რაფერ შეარივა
ძაღლ და ყვაესავით გადაკიდული
საქართველო-რუსეთი. რაფაი მაყრო-
ბა გამოსწია, თუ ქართველურა და-
თვრა კისრის ფალარათი ხომ არ ას-
ტეხია. აგერ კვირეც ვათენდა გამუ-
აქხადა ქალმა ვაენი პოლოჟენია:
ყაჭი, ცახი, ბეოლი, ყანის დაცვა,
წისქვილი — ფეხი არ გადაადგა არსაო.
რაფა შუუბრუნებ ენას, მის ვაკუჭე-
ბას ინგლისი გადამეკიდოს მიჩჩენია.
ისტეველე მოთანი სჯობს. — კი ჩემო
მარიამავ, ჩემო შევლამესავით მშვე-
ნიერო ვახაფხულის ყვაო. სულის
ქლექუნიავ, გულის მარწუხო, ყო-
ლისფერს დაგიჯერებ ოლონდ ერთი
ღღეს ტყემლიანი ჭიქლაყაით და
ქფილის ღომით გამომძვორე. მაგი-
ორში ყოლოთენ ასე არ ვიქნებით.
ერთს ამხანაგი მინისტრები ჩვენსკენც
გამეიხედავს, აქეთ ერთი გაბგიალე-
ბული გოგო რძლათ მევიყვანოთ და
საქმეზე შეგეხიდება, ციციი ღემნა-
ზიას გაათავებს პაწახანში და ფხარში
ამოგვიდგება-მეთქი არ გამითავებია,
რომ მისი წიგნებით ზე მომადგა
კარზე. ვაი წაფხთი რას მივესწარი
ამას! ერთი ამხანაგი გამოღგდიან და
თელ კლასს ზაბასტოვკა უხრენგე-
ბიან. მერე და რას ვაკეთებენ! ძა-
ლიან შეუწუხდება ვიდაც თამარა

სპირიდონოვა, ნუგეშინია არ შე-
ვეცოდვოთ, აბა ჩემი ბატონი შენ
ხარ, ვადახვა საცოდავმა კაცმა და
ერთი ვაკუჭებიზა ზე გამუაბუნძულა
ციციი ვარეთ. ოლონდა ფულები
ღუღღრანგე და ოცში ერთმა თუ
ისწავლა იგიც ეყოფიან გასამართ-
ლებლათ. ჰაი ჰაი,

საცოდავო მუშა ხალხო,
სატირო და სავაგლახო,
სად ყრი შრომას და ფულებსა
ვინ პატრონობს თქვენ შვილებსა!.

აველიღინდ-დაველიღინდი, მარა მა-
ინც ვამჯობინე და დევიფრინე ცი-
ციი ისეველე კლასისკენ, მარა იქინეი
აღახმა უწყის რომელი მაჩანჩალაი
გუუხიციენებენ ღლიავში. და ვაი
თუ ისთეველე მომივიდა შინ.

შხანკოლა.

მელიქა და გეორქა.

(მასლაათი პუშკინის ბალში).

მელიქა.

აღა გეორქ რასა იქ
რისთვის მოგიწყენია,
ეს ღროება ხომ იცი
არავის შერჩენია.

რაც გინდ ბლომა იფიქრო
ის ახდება რაც არი,
როცა დავიბადევით
დაგვეყვა ბედის დავთარი.

ყველაფერი ძვირდება
ხდება მამასისხლათა,
ბოლოკი ვადაიქცა
ზაგრანიცის ხილათა.

ზოგი შიმშილით კვდება,
ქაღით ვერ გამაძლარა,
ზოგს ქეიფი მობეზრდა
ღუღუკი და ნაღარა.

მე კი ძველ ღროებაში
გადმივლია ღანძილზე,
სამი კაპიკის პურზე,
ორი გროშის მწვანაილზე,

გროში-გროშს მივიკერე
ღოვლათი შევიძინე,
მაგრამ ღღემდის სულ ვწვალობ
ერთხელ ვერ მოვილხინე.

ეხლა როგორც ეტყობა
ამ ღროებას ტიელსა,
ჩემი ქონება რჩება
ოხერსა და მშიერსა.

მინდა ვაჯავრებულმა
ხელი მივყო ფლანგვასა
ისე მოვექცე ფულსა
როგორც ბზეს და ნავავსა.



ლ.ბ

გაკომუნისტებული ადერბეიჯა- ნელი ბარიშნა.

მაგრამ აღარც მადა მაქვს
აღარც მუხლებში ძალა,
ვერცა ვჭამ და ვერცა ვსვამ
კუჭი მთლათ მომეშალა!..

გეორქა.

ნეტავი შენ მელიქა ჯან
ქეიფი ვაგონდება
და იმას კი არ ფიქრობ
ხვალ რა მოგველოდება.

განა არ წაიკითხე
განჯაში რა მომხდარა?
მიუნგრ-მოუნგრევიათ
ჯოჯოხეთად გამხდარა!..

ქალაქი ავსილია
დახოცილთა გვამითა,
ათას-ხუთას ღედაკაცს
მიესიგენ ძალითა...

ყველანი შეარცხენეს
ვადახადეს ჩადრები,
სიამით ნეტარებდნენ
„კომუნისტთა“ ბანდები!.

მელიქა.

ძალათ მეხი დაირტყეს
ვადაიქცენ ვირათა,
საქართველოს ღალატი
დაუჯდებათ ძვირათა.

სხვის დაღუპვა უნდოდათ,
ბოლშევიკთა ძალითა,
რუსებს ეგებებოდნენ
ქაბაბით და ფლავითა!..

მაგრამ ახპერ მოსტყუვდნენ
ანგარიში წაუხდათ,

რაც სხვებისთვის უნდოდათ თავიანთზე აუხდათ.

ცხარე ცრემლით სტირიან „კომუნისტი“ თათრები: „—რა გვეჯიდა, რისთვის გავხდით ბოლშევიკის ამქრები!“..

გეორჯა.

მეც სხვა ფიქრი მაწევება, სხვა დარდებმა წამილო, სასომხეთის მანდატი არავინ არ აილო!..

ყველა ისე გვიყურებს, როგორც რომ ჭირიანსა, გადასადებ ბაცილას სახად ხორველიანსა!.

არავის არ უნდიათ რაღეფბაც ჩმახვევ, ზარალის მეტს ჩვენგანა ვერაფერსა ნახვევ.

ლამის მელიქ გადავიქცეთ სათამაშო ბურთათა, მუდამ სხვისგან მოველით სუყველაფერს მუქთათა!.

პეტრუზა.

„ხმაც არ ამოვიღია“...

ა.

დუნია უჩიოდა სასამართლოში პეტრეს: ძალა-მომრეობით ნამუსი ამხადა და ჯვარს არ იწერსო... ყოველ შემთხვევაში დაჰსაჯეთ როგორც მხეცი და ავაზაკიო...

მსაჯულ ნიკოს ეუცხოვა ამნაირი საჩივარი, გაუკვირდა კიდევ, რადგანაც ერთსაც იცნობდა და მეორესაც: პეტრე თითქმის ქონდრის კაცი იყო, დუნა კი ზორბა ქალი და ვერ წარმოედგინა: როგორ შეეძლო ძალა ეხმარა სუსტს ძლიერთან!?

„სუდიამ დაიბარა ორივენი: დუნია და პეტრე.“

ბ.

— ბრალდებულს პეტრე, — დაეკითხა მსაჯული პეტრეს: სცნობ შენ თავს დამნაშავეთ თუ არა, დუნა გიჩივის ძალა-მომრეობით ნამუსი ამხადაო...

— ბატონო მსაჯულო, პეტრე ყრუა, — წარმოდგა სამართლის წინაშე ვეპილი ფოლოსიძე: მე ვარ მისი რწმუნებული.

— რამ დააყრუა? — გაუკვირდა მსაჯულსაც: დიდი ხანია ვგრე დაე-მართა?

— მას შემდეგ, რაც დუნიასთან ალიაქოთი გადახდა ..

— როგორ?

— ისე დაუყვირია დუნიას, რომ ყურის ფირფიტანები გასწყვეტია და დაყრუებულა:

— სტყუის ბატონო მსაჯულო, — ბრაზი მოუვიდა და ველარ მოითმინა დუნიამ: ხმაც არ ამოვიღია...

— მაშ რაღას ჩივით? — გაამტყუნა მსაჯულმა დუნია: რახან ხმაც არ ამოგიღიათ, სჩანს თქვენი ნებაც ყოფილა!?

დამსწრე საზოგადოებას სიცილი მოსდიოდა. დუნია იპარებოდა შერცხვენილი.

პეტრეს უღვაშებში ეცინებოდა...

დუშელი ვანო.



მისტვირული.

(შემოქმედისათვის).

თუმც არ ვიცი ლექსის წერა, და რითმების თან აწება, მაგრამ ბედსა არ ვემდური რა, ვუყვით, რა გავწეობა; მუზა მისით მოფრინადებს მისებურათ დაეწეობა, (შემოქმედის ზოგიერთ ფაუნს უთხრათ იგი რაც ეწეობა).

მაშ! კიკინით დაფამდურათ ჩემო გულავ, ჩემო სტვირთ, ზოგიერთი ფაუნსტრანი გულთ მინდა ავაუფირთ, თუმც დრება გადაბრუნდა მტერმა დაჭკრა საუფირთ, მაგრამ ამით მე არ ვშაშობ, სულ ვამდური, არ ვსტირით.

— ზირველ თამას და ხატიტანს რაგონდ მდვდები უძღვნათ ქება, —

რაც სიმატლე აჩის, თორემ დანახენი რა შეთქმება მათ, რომ ვკადრთ კარტს თამაშობთ, სინდრეუ ხომ არ იქნება?

და რაგონდ მდვდებს ჩემის ზრით ცოდვით ხომ არ ჩაეთვლება?

მხოლოდ მიგვიჩს მიშას საქმე მართლაც აჩის თამაშობა!.

ცოდვა აჩის, ვინაც შედავს, ვინც გაზანდა და ვინც შობა.

„ბაქანაში“ მის ხელ „შვიდში“ სხვებთან „რფანი“ გაიშლება, და ისედაც ავადმეოფი გადირევა, გადიშლება!.

სოლომონას რათ უყურებთ ქვემდრამია, კუდა-მეზა, მუდამ კარტში „რაზობნიკობს“ აუტუდება მაშინ სველას; ერთ დღეს ვიცი ვანო მანმინდის რომ შეხვდება იმას ბედა, კაცათ მანმენ არ ივარგებს ერთი ის თუ არ დაბედა.

იოსები, დიამიდე, (მატრანე და სილოვანი), თუ არ ვცდები უნდა იყვნენ ამ ხანებში სრულ წლოვანი, (სილოვანი მოდარაჯე და მატრანე კულფანანი), აჩავის არ კრიდებთ, გაიკავეს „გაღვანი“!.

„მუნკტი“ მატრანს ეზო აჩის მუდამ დამე აქეთ ურიდობა, (ეს ნიკომაც კარვით იცის), ამ ჰირთა გულ-კეთილობა; „ცხვირანძე“, რომ დაგვიდუმდა და იჩინა გულგრილობა, გაიფიდა ძველებურათ — ცარცვა-გლეჯა, გაქნილობა.

სიკინკილაძე.

მსხვერპლი.

მხეცური ჟინის ვნება დაიტკობ, იმას შეახო ბინძური ხელი; უმანკოება აღარ დაინდო, არ შეისმინა მუდარა წრფელი.

გუმინ უმანკო, ტურფა, ფაქიზი ვითა ტოროლა დაქიკტიკობდა, ნაზი თვალები, ეშხით მთვრალეები გულს იმონებდა, სულსა ამკობდა.

დღეს ის გახრწნილი, ქუჩაში გდია, მტვრიან ქუჩაში, ნამუსს ახლილი და ამის ჩამდენს დღეს გმირი ჰქვია კიდევ ამაყობს ბოროტი შვილი.

ვ. ხორეთელი.



რკინის გზალების
ცხოვრებიდან.

რეგულირებას თავისი უხვი კალთა
რკინის გზალებისათვის დაუბრტყია,
ეს ასეც უნდა მომხდარიყო, დირსი
არ არის თუ?!. თეთრი პური, თეთრი
ბრინჯი, მარცხლის შაქარი, მკაკას
ყავა, იანონის ჩაი, მიიდე და „ნე
სკუნია“ — ზღაშში და ფესხვამელები
ხომ რიგ-რიგობით ჩამოიშობენ, მარა
ერგო მას ვისაც ტანსუდ მოერგო და
არ ერგო იმას ვისაც ტანსუდ არაფერი
ერგა. თბილისის კოლხელები ხომ
უსასტიკეს კონკურენციას უწევს სხე-
კულისტებს. თუ პირველ საჭირო
მთხროვნელების საქმელს სხვა კერ-
ძო სპეკულაციონტ ვაჭრებისაგან იყიდი
10 მან. აქ 20 მან. ზევით არ ყი-
დიან, ეს ხომ უბრალო პრინციპების
გადამსაქმნა მოსამსახურეთა სასარ-
გებლოთ.

...ასე რომ მუშაობა დუღს და გა-
დადუღს, იკრებიან და მსჯელობენ,
მსჯელობენ და იკრებიან, ზოგს
კატორღისაგან ისტუმრებენ, (კატორ-
ღის სსენებასუდ ხატარა შეფხვრდი,
აღბათ რედაქტორი გამახსენდა, მან
ახსნას თუ სად იმყოფება კატორღა),
ზოგს მაღალი სართულიდან, დაბალ
სართულში გადაისვრიან. გომნასტიკუ-
რი ვარჯიშობა მინდობილი აქვს, ვიქ-
ტორს, თევზაია არ გეგონებს, დათვი
თუ მოგვრია ბაბაი დაუბახურო, ამბობს
თქმულება. ვიქტორს გაგზავნა სა-
ავთმყოფოში შეჩველია და დაუვა-
ლებინა მასაჟის გაკვეთილი კარგათ
შეისწავლე იქაურ ქვიშაშებებისგან,
თორემ დაგსჯი, ჩემი სართულიდან
პირდაპირ ქუჩაში გადაგისვრიოთ და
როდესაც ვიქტორი, სასურსათო ფაქ-
ტორი, მუშტაიდან გუდ-ვარდში წა-
აწუდა პოლიციას, (ინ უანდარმი იქი-
ბოდა, ან გორდდოგო).

შეუარსებოფილად ჩასთვალა თავისი
თავი როგორ თუ სოციალისტი მთვრა-
ლი მინახესო გაიქნია თავისი თათი
და... თვალი უქნა შეჩველიას — დამა-
ნახე თუ როგორ შეისწავლე საავადმი-
ყოფოში მასაჟიო. მოწათებ დირსეუ-
ლად აასრულა დაულებს ჩასცხო პო-
ლიციას, ამ დროს მოისმა სასურო
სიმღერა ვიქტორის მოძახილით:

„ვისაც ჩვენებრ გული ერჩის,
და ვისაც მსურს ხაღის შეება;
მასაჟის დროს ჩვენთან იყოს —
სიკვდილი ან გამარჯვება.“

(შემდეგი იქნება)

პი-პუუ.

შენუშტურებულის ლექსი.

(პროვინციიდან)

ეი, ოი, ია უა,
გამიხურდა თავში ტკუა,
ვგონებ წვიმა სულ არ მუა,
გოროხს მოვცხოთ თოხის ყუა.
ტრახტა-ტატა, ტრახტა ტიტო,
გამარჯობა ძმაო გიტო,
მგალობლიშვილო ნიკიტო,
წამო, ვნახოთ სამიკიტო.
აბა დელი, აბა დელი
გეიპარსა ბერი, მღვდელი,
ჩამოცვინდა წვერი გრძელი
წაუვიდათ მათ დრო ძველი,
(ალარც პასკა, არც ღვეძელი).
აბა ერი, ორა, ორა,
ყარამანის ანაფორა,
მიკვირს ძმაო სენაფორა,
შკოლაში რამ შეავორა.
აქოური ჩვენი შკოლა,
ნიკო, ვანო, ტიტე, კოლა,
ნატალია, ფატი, ლოლა
მხარ-თეძოზე წამოწოლა,
სილოვანი, ვახტანგ კოლა
ნინო ქეთო და გოგოლა.
მითხარ ერთი გკითხო რამე
გავათიოთ კარში ღამე,
ნეტარება და სიამე,
რა კარგია ბაღში გამე.
(ჩაზე ქუთისის ღობე ქამე).
აგი ჩვენი სასადილო,
ძალის ძალზე სასაცილო,
წამო აბა ვისადილო
ნიკო, ჯიბე გაფხვილო.

შენუშტურებული.

ანალიზი.

სწორედ იმ დროს შევედი ივ. მე-
გრელაძის საკანდიტროში, როცა
— დო საკმაო ხმა მაღლა კითხულობ-
და:

— შარდის ანალიზი აქიმ მსეიძეს-
თან წასადგენათ.

ამ დროს ვიდაცამ პინინო დაუკრა
და შემდეგი ვერ გაგიგონე. მხოლოთ
ბოლოს მოგვარა უური.

— დასკვნა. — კითხულობდა ა— დო
— შარდის პატრონი ორსულათაა. მუ-
ცლის რადიუსი ადბათ არშინ ნახევარს
უდრის. თუ საქმართ აქიმ გეინეს
სამშობობარეო საავადმყოფოში არ წა-
ვიდა საშიშა.

საშა და ტიტეკო მორიდებით იტი-
ნოდა. აკაკი მეზობელ მაგიდასთან
მჯდომ მსხვილ მანდილასანს ემაღე-

ბოდა. გერასიმე კბილებს რეკავდა...
და სიბრახისაგან მისი წვეწვდის...
რუმივიოთ გაბუკილიყო.

მეორე დღეს აკაკი და ვანო ქალა-
ქის საავადმყოფოში მიიყვანეს. ერთს
ორი წინა და ერთი სადრჯილი კბილი
ქონდა ჩამტყვეული, ხოლო მეორეს
გვერდის ორი ძვალი.

გერასიმე კი მილიციაში წაიყვანეს.
საქმე სასამართლოსთვის გადაუცათ.
მოწმეთ მე დაუსახელებიავანთ.

დმერთი რჯული არ ვიცი რაშია
საქმე. რაც აქ სწევრია ესეც შემთხვე-
ვით გავიბე.

გრ. სლუჩინი.

მეგრულ-ძართული ლექსი.

(სამეგრელოდან)

ქვე ღობიო და ქვე მჭადი—
ამას სულ გაიძახიან:
მური სად არის თუ არა
ისე ძალიან სწადიან,
გრძელ მხერგელში ჩამდგარან
და ვან იცის რას სხადიან;
„აღიღვრის სატანცოში“
ვირამალა გადადიან...

ცეკვა „შამილს“ რა უყურო
ფეხი ფეხს არ ეკარება,
შქრენიში ზღვდელიკათა—
ტეის შეფეს შეკადრება;
დორონთქ აშინ „აღიღვრი“
მინდომე გადაგვარება;
სიმშილი ყველას ავიწეა—
მასში ჭნავეს ნეტარება...

მართლაც ეს ცეკვა თამაში
ჯიბე დროში მოგონებდრე;
მარა ჯერ არ შეშინია—
„ფხაკაძის“ ჯიბე სქელირე.
მუჟამც ინა სხაპუნტუნი—
დურელი ანდო თერიდრე;
იწკი ბუწვიოთ გაფრინდება—
ბარიშნეფიში ცელირე...

მე ჩემს დღეში არ მინახავს
„კირტასავით“ დირიფორი;
მუსიკაზე მეც ვიცეკვებ
და რა მუავდეს ვირი, ჯორი;
ანდო ოკო მიჯინედანს—
გენერალი— მიაორი;
აქ სულ არ მოიბოგება
შენისთანა კანდიორი...

--

„აღიღრემა“ ფეს მობიდა,
 „კარტა“ სანსა კადიზანს,
 სენაჰი და სამტრედია
 ვეკლა ერთად მოიარა;
 ჭა, დორანთე გეგნიბლასი
 სოფე მურტუ თეზმა ფანს,
 ბრედი ისოფ—ბრედი იკეკ
 ტეკა მანტ შეუვარა...

როგორ მოდათ ჩამოვიდა
 ეს სანტანი თამაში,
 „აღიღრემა“ რომ კარგია
 დაწმუნებულ ვარ ამაში.
 სწავლას თავი დაგანებ—
 და გული მიმდის ტამაში,
 მეუ ჯიმა „ხათუმემა“
 ეთქვი გიდექარქაში...

კაკო ხაბუმელი.

ლილინი.

სეფიეთში ჩამოვუღი
 მეტად გიმიო ხაღსი ვნახე
 (ქალი, კაცი და ბაღები
 ვეკლა ერთად დაგინახე!)

ბაკუნაზა ხელში ხატიო
 (შიშით ტუნი ვერ შევახე)
 ვით დეგ-გომირი გაჭკიოდა:
 „კმაჩა, ძმებო, სივავლახე,

ხედავთ რამდენი ხანია
 არც წვიმაა, არც ტყარ-ნაში!
 გვეუო მონობის უღელი,
 არ დაგვარკოთ ერთი წამი“.

— „დავიფიცოთ, დავიფიცოთ“
 ხაღსმა ერთ სმით დაიუვირა:
 მანასკევეს არ ვიმუშაოთ,
 ეს დღე იუოს ჩვენთვის კვირა.

ეს პრეტესტი წარუდგინეს
 წვიმის დმერთის სამინისტროს.
 (აღბათ იცის სეფიეთმა,
 იქ ვინც არის, ვინც მინისტრებს?)

ონტოფოში განცვიფრება
 ტოტას ქე წაიჭაშნიკებს,
 მასწავლებელი ქაღები,
 რომ მიუყვენ სანტონიკებს!

აბაშაზე ასე მოკლეთ
 აბა რა ვსთქვა მოსაწონი.
 მასზე შემდეგ, აქ ძაღლები
 მატრონს ვერ სტობს, ძაღლს მატრონი.
 მარცხი.

ზრდილობა „ტამარაშვილი“!

სოფელ ქალის სამკითხველო
 დღემდის სამკითხველო იყო,
 დღეს სახელი შეუცვალეს
 და დაარქვეს—სანტონიკო!..

მკითხველი ვერ მოისვენებ,
 რომ წუთი შიგ რა იყო,
 თუმც არ გინდა უსათუოთ
 ინსტრუქტო, იარშიყო.

სხვა სიკეთე აღარ აკლდა
 „ოტკის“ სხმასად მიუყვეს ხელი,
 (სახეში მუყავს—არა სავი
 ენა ვრძელი, ჭკუა თხელი!)

ხან კი ღამის ჩხუბიც მოხეთს.
 ბაჩიშნების გაყოფაში!..
 (ჭკვი, წვეწრო! სამკითხველო
 განა ვარკვა ამ ყოფაში?)

შხამაძე.

„ხათაბალას“ დეკავები.

ქობულეთი. სან-რემოს კონფე-
 რენციამ დაადგინა: 1) საერთო ხელ-
 მძღვანელობა „სედაია-მილეთის“ კო-
 მიტეტისა მიენდოს ქობულეთის ყო-
 ფილ გზის ოსტატს ბებიას და მის
 მეუღლეს. 2) ამ დღეებში ქობუ-
 ლეთში გამართული წარმოდგენიდან,
 მიწის ძვრისაგან დაზარალებულ გო-

რელების სასარგებლოთ, რა ათასი
 მანეთი მიეცეს ლიუდმილა ბებიას.
 3) რადგანაც ლიუდმილა ბებია
 „უსამართლოთ“ დასჯილია, ნება
 მიეცეს მას გამართოს ხელის მოწერა
 მთელს ბათუმის ოლქში, შეაგროვოს
 ფულები მიწის ძვრისაგან დაზარა-
 ლებულ გორელების სასარგებლოთ
 და მიითვისოს მან.

ღრიკინა.

სუფსა. ქურდების მკერავ მანდი-
 ლოსნების ოჯახში დიდი აფეთქება
 მოხდა, მძიმედ დაიჭრა 40 კავალერი,
 მსუბუქათ ათი, უგზო უკვალოთ
 დაიკარგა ნატანების ყოფილი ბუ-
 ფეჩიკი, ხოლო გარდაიცვალა 4.
 დაზარალების მოსაგროვებლოთ შესდგა
 მომწყობი კომისია.

— ესერების პარტიაში ახალი
 „პერევიაროტი“ მოხდა, წვევრები
 უმოკვო წიწილებივით დაიბნენ. ეძე-
 ბენ ახალ მოკრუხებულ დედალს.

ოლოლე.



მეცნიერებით გატაცებულნი.